სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი

თემატური საინფორმაციო

ბოლო განახლება:
დეკემბერი 2022

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა

თემატური საინფორმაციო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი

დეკემბერი 2022

Council of Europe

Original title: *Thematic factsheet on hate crime and hate speech (English version)*

Text translated within the Council of Europe project "Reinforcing National Execution of the European Court's judgments by Georgia" and used with the permission of the Council of Europe. This document is published by arrangement of the Council of Europe, but under the sole responsibility of the translator. / ტექსტის თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს პროექტის „ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში. ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით, თუმცა თარგმანზე სრული პასუხისმგებლობა ენიჭება თარჯიმანს.

ამ წიგნში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

The reproduction of extracts (up to 500 words) is authorised, except for commercial purposes as long as the integrity of the text is preserved, the excerpt is not used out of context, does not provide incomplete information or does not otherwise mislead the reader as to the nature, scope or content of the text. The source text must always be acknowledged as follows "© Council of Europe, year of the publication". All other requests concerning the reproduction/translation of all or part of the document, should be addressed to the Directorate of Communications, Council of Europe (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

All other correspondence concerning this document should be addressed to the Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights of the Council of Europe.

E-mail: dgi-execution@coe.int

Cover design and layout:
Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights, Council of Europe

Photos: Council of Europe, ©Shutterstock

Council of Europe Publishing
F-67075 Strasbourg Cedex
http://book.coe.int

© Council of Europe, July 2025

შინაარსი

1. რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლა **3**

1.1. უსაფრთხოების ძალების მონაწილეობით, ბოშების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული 3

1.2. კერძო პირების ან ჯგუფების მონაწილეობით ბოშების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული 8

1.3. უსაფრთხოების ძალების მონაწილეობით, მიგრანტების წინააღმდეგ ჩადენილი 12

1.4. კერძო პირების ან ჯგუფების მიერ მიგრანტების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა 14

2. ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლა **15**

3. რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლა **17**

საქმეთა ინდექსი **19**

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ჩადენილია პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მიკერძოებისა და წინასწარგანწყობის საფუძველზე, ხოლო სიძულვილის ენა მოიცავს სხვადასხვა სახის გამოხატვას, რომელიც მიმართულია პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, მათი პირადი მახასიათებლების ან სტატუსის საფუძველზე. როდესაც სიძულვილის ენა გამოიხატება ისეთი ქმედებით, რომელიც თავისთავად წარმოადგენს დანაშაულს – მაგალითად, დამამცირებელი, შემავიწროებელი ან შეურაცხმყოფელი ქცევა – ის შესაძლოა ასევე განხილული იქნას, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.[1]

სასამართლოს თანახმად, დისკრიმინაციულმა მოპყრობამ, როგორც ასეთი, შესაძლოა არსებითად მიაღწიოს დამამცირებელი მოპყრობის დონეს, კონვენციის 3-ე მუხლის მიხედვით, თუ ის ისეთი სიმძიმისაა, რომ წარმოადგენს ადამიანის ღირსების შელახვას. ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებისას, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ ყველა გონივრული ზომა, რათა გამოავლინონ შესაძლო დისკრიმინაციული მოტივები. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ, მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვისთვის. გარდა ამისა, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მიიღონ სრულად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები, არ უნდა გამოტოვონ საეჭვო ფაქტები, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდეს შეუწყნარებლობით ან დისკრიმინაციით მოტივირებულ ძალადობაზე. დისკრიმინაციული განზრახვით ჩადენილი ძალადობისა და სისასტიკის იგივე კატეგორიაში განხილვა, როგორც იმ შემთხვევებისა, რომლებიც ასეთ ელემენტებს არ შეიცავს, ნიშნავს თვალის დახუჭვას იმ ქმედებებზე, რომლებიც განსაკუთრებით ანგრევს ფუნდამენტურ უფლებებს.

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი შეიცავს იმ ზოგადი და ინდივიდუალური ღონისძიებების მაგალითებს, რომლებიც სახელმწიფოებმა მიიღეს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კონტექსტში, კერძოდ, რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან საბრძოლველად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უსაფრთხოების ძალების, კერძო პირების ან ჯგუფების მხრიდან და რომელთა სამიზნესაც წარმოადგენენ ბოშები[2] და მიგრანტები, ასევე, ლგბტი ადამიანებისკენ მიმართულ სიძულვილის დანაშაულებთან და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებთან საბრძოლველად.

---

[1] იხილეთ ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია №15 სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, განმარტებითი მემორანდუმის 21-ე პუნქტი (2015 წელი); ასევე, იხილეთ CM/Rec(2022)16 რეკომენდაცია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

[2] ტერმინი „ბოშები და მოგზაურები“ გამოიყენება ევროპის საბჭოს მიერ და აღნიშნავს ამ სფეროში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის ფარგლებში მოცული ჯგუფების მრავალფეროვნებას. კერძოდ, ამ ტერმინში ერთიანდებიან, ერთი მხრივ, ბოშები, სინტი/მანუში, კალე, კაალე, რომანიჩალები, ბოიაში/რუდარები; ბალკანელი ეგვიპტელები (ეგვიპტელები და აშკალები); აღმოსავლური ჯგუფები (დომ, ლომ და აბდალი); ხოლო მეორე მხრივ, ჯგუფები, როგორებიცაა, მოგზაურები, იენიშები და მოსახლეობები, რომელსაც მოიცავს ადმინისტრაციული ტერმინი „Gens du voyage“, ასევე, პირები, რომლებიც საკუთარ თავს ბოშებად მიიჩნევენ.

1. რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლა

1.1. უსაფრთხოების ძალების მონაწილეობით, ბოშების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

ბულგარეთი / Nachova და სხვები (43577/98 და 42579/98)
დიდი პალატის მიერ 06/07/2005 წ. მიღებული გადაწყვეტილება

საბოლოო რეზოლუცია:
CM/Res DH (2017)97

საქმე ეხება სამხედრო პოლიციის მიერ დაკავების მცდელობისას ორი ბოშის სიკვდილს გასროლის შედეგად. სასამართლოს არ დაუდგენია, რომ სროლა რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივით იყო ჩადენილი, თუმცა, მან დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო რასისტული მოტივების სათანადოდ გამოძიება.

რაც შეეხება ზომებს, განსაკუთრებით, რასისტული მოტივების გამოძიებასთან დაკავშირებით, 2011 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა დამამძიმებელი გარემოებები რასისტული და ქსენოფობიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი მკვლელობის და სხეულის დაზიანების შემთხვევებში. ჩაითვალა, რომ ეს ცვლილება შესაბამის ორგანოებს აძლევდა შესაძლო რასისტული მოტივების გამოძიების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, განხორციელდა საკანონმდებლო რეფორმა, რომლის შედეგადაც დაინერგა ახალი, კონვენციასთან შესაბამისი წესები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა რეგულარული ტრენინგები და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები როგორც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, ისე, რასისტული მოტივების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, სასამართლოს და პროკურატურის წარმომადგენლებისთვის. ამას გარდა, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა წინასასამართლო ეტაპზე ჩატარებულ გამოძიებებსა და სასამართლო პროცესებს, 2011-2016 წლებში რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, ასახავდა საგამოძიებო პრაქტიკების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას დანაშაულის რასისტული და/ან ქსენოფობიური მოტივების დადგენის კუთხით (ასევე, იხ. Angelova and Iliev v. Bulgaria ქვემოთ).

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ჩატარდა მომჩივანთა ოჯახის წევრების გარდაცვალების შემთხვევის ხელახალი გამოძიება, რომელიც მოიცავდა მოწმეებისა და ორი ახალი მოწმის დამატებით დაკითხვას, შემთხვევის ადგილის მონახულებას, საგამოძიებო ექსპერიმენტებსა და სროლის ტრაექტორიის შესწავლას. ასევე, ჩატარდა ახალი სასამართლო-სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზები, რომლებმაც დაადასტურა წინა ექსპერტიზების შედეგები. გამოძიების შემდეგ, პროკურატურამ 2007 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით დაასკვნა, რომ პოლიციელი მოქმედებდა იმ რეგულაციების თანახმად, რომლებიც იმ დროისთვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას არეგულირებდა და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. გადაწყვეტილება, ასევე, განხილული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, ex officio უფლებამოსილების ფარგლებში, რომელმაც გაიზიარა 2008 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება. დაზარალებულების უფლებამონაცვლეებს აღნიშნული გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებიათ.

საბერძნეთი / *Bekos და Koutropoulos* (15250/02)
საბოლოო გადაწყვეტილების
თარიღი: 13/03/2006

საბოლოო რეზოლუცია:
CM/ResDH(2021)190

საქმე ეხება პოლიციის მიერ დაკავებულ ორ ბოშაზე ფიზიკურ და სიტყვიერ ძალადობას, რომელიც არასათანადო მოპყრობას უტოლდებოდა. სასამართლომ არ დაადგინა, რომ მომჩივნების მიმართ განხორციელებული მოპყრობა რასობრივი ნიშნით იყო მოტივირებული. თუმცა, სასამართლოს თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი იყო დამაჯერებელი ინფორმაცია სავარაუდოდ რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით, მათ ვერ შეძლეს ყველა შესაძლო ნაბიჯის გადადგმა იმისათვის, რომ გამოეძიებინათ, შეასრულა თუ არა დისკრიმინაციამ რაიმე როლი მოცემულ მოვლენებში.

მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, 2012 წელს პოლიციის ხელმძღვანელმა პოლიციის ორგანოებს მიმართა ცირკულარით, რომელშიც ითხოვდა, რომ რასისტული ქცევასთან დაკავშირებული საჩივრები პრიორიტეტულად განეხილათ. 2014 წელს პოლიციის ხელმძღვანელმა გამოსცა კიდევ ერთი ცირკულარი, რომლითაც პოლიციას შეახსენა ვალდებულება, გამოიკვლიონ შესაძლო რასისტული მოტივები, ეროვნულ წარმოშობასთან, რელიგიასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, ასაკთან ან შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სხვა დისკრიმინაციულ იქცევა, რომელიც ძალადობრივ მოპყრობას იწვევდა. საბერძნეთის ხელისუფლების მიერ ამ სფეროში მიღებული სხვა ზომები შეჯამებულია ქვემოთ, საქმეში Sakir v. Greece. გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში, საკასაციო სასამართლოს პროკურორმა გამოსცა ცირკულარი, რომლის ადრესატიც იყო ყველა პროკურორი და რომელიც მათ ახსენებდა კონვენციით და კონსტიტუციით დაკისრებულ მოვალეობებს და მოუწოდებდა, განსაკუთრებული სიმკაცრით ემოქმედათ რასისტული მოტივით ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე რეაგირებისას. აღნიშნული ცირკულარი ასევე გაეგზავნა პოლიციას. გარდა ამისა, ათენსა და სალონიკში პოლიციის სამმართველოებში შეიქმნა ორი სპეციალიზებული განყოფილება, რომლებიც რასისტული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ეწევიან და რასისტული დანაშაულების გამოძიებაზე არიან პასუხისმგებელნი. ბერძნულ სასამართლოებში დაინიშნენ პროკურორები, რომელთა სპეციალიზაციასაც წარმოადგენს რასისტული ძალადობა. ამას გარდა, ხელისუფლებამ დანერგა პროკურორების, მოსამართლეების და პოლიციელების უწყვეტი გადამზადების პროგრამა, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელებას და ითვალისწინებს ევროპის საბჭოს სტანდარტებს (ასევე, იხ. Sakir v. Greece).

რაც შეეხება განმცხადებლებს, არსებული კანონმდებლობის გამო შეუძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის ხელახლა ინიცირება, ხოლო მოცემულ დანაშაულებზე ადმინისტრაციული/დისციპლინური გამოძიება და სამართალწარმოება ვერ განხორციელდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

უნგრეთი / *Balogh* (47940/99)
საბოლოო გადაწყვეტილების
თარიღი: 20/10/2004

საბოლოო რეზოლუცია
CM/ResDH(2011)294

სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, რადგან ბოშა განმცხადებელს პოლიციის მიერ დაკითხვის დროს არასათანადოდ მოექცნენ, ხოლო ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი განმარტება მისი ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით (მარცხენა ყურის დაფის აპკის ტრავმული პერფორაცია, რაც სავარაუდოდ გამოწვეული იყო სახეში გარტყმით) და ვერ დაასაბუთა, რომ აღნიშნული დაზიანება სხვა მიზეზით იყო გამოწვეული და არა საპოლიციო პატიმრობაში ყოფნისას განცდილი მოპყრობით. ვინაიდან საქმის მასალებში არსებული მტკიცებულება არასაკმარისი იყო, სასამართლომ არ განიხილა განმცხადებლის პრეტენზია ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით განცდილი დისკრიმინაციის შესახებ.

მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, CPT-ს (წამების პრევენციის კომიტეტი) მიერ 1999 წელს უნგრეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, პოლიციის ეროვნულმა შტაბმა პოლიციის მეთაურებისთვის გამოსცა შიდა ინსტრუქციები,

რომლებიც, მათ შორის, მოიცავდა წამების, იძულებითი დაკითხვისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას. გარდა ამისა, 2002 წლიდან „საპოლიციო ზომების მართვის სწავლებისა და კვლევის ინსტიტუტი“ ატარებს ტრენინგებს თემაზე, „ბოშები და საპოლიციო ზომები“, რომლის მიზანია ებრძოლოს უარყოფით სტერეოტიპებს და ხელი შეუწყოს კანონიერ ქმედებებს წინასწარგანწყობებისა და ნეგატიური დისკრიმინაციის გარეშე. ამასთან, საპოლიციო ზომებისა გატარებისა და დანაშაულის პრევენციის ინსტიტუტი ორგანიზებას უწევს სპეციალურ ტრენინგებს ადამიანის უფლებებისა და უმცირესობის უფლებების შესახებ.

უნგრეთი / *Balazs*, საქმეთა ჯგუფი (15529/12)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 14/03/2016

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

DH-DD(2019)1121 და DH-DD(2022)822

ამ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ბოშების არასათანადო მოპყრობის შესაძლო რასისტული მოტივების ეფექტურად გამოძიება[3], როგორც ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას, ისე სამსახურეობრივი საქმიანობის მიღმა, ღიად რასისტული ანტი-ბოშური დემონსტრაციების კონტექსტში, რომლებიც მემარჯვენე ჯგუფების მიერ იყო ორგანიზებული.

მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, ახალი სისხლის/ სამართლის კოდექსის 216-ე სექცია ახდენს არა მხოლოდ ‘ძალის გამოყენების’, არამედ, ასევე, ‘ნებისმიერი პროვოკაციული ქცევის’ კრიმინალიზებას პირის წინააღმდეგ, ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფთან რეალური ან შესაძლო კავშირის გამო. ამას გარდა, „ჯგუფის წინააღმდეგ ძალადობის წახალისების“ დანაშაულის ფარგლები (ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე სექცია) გაფართოვდა და ამჟამად იგი ახდენს საფრთხის შემცველი გამონათქვამების კრიმინალიზებას, რომელიც შესაძლოა განაპირობებდეს ძალადობრივ ქმედებას, ასევე, სიძულვილის წამახალისებელი გამონათქვამების კრიმინალიზებას.

ამას გარდა, 2019 წელს, პოლიციის ეროვნულმა შტაბმა (ORFK) გამოსცა ინსტრუქცია, რომელიც ეხება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირებას (ინსტრუქცია 30/2019) და შეიცავს მიკერძოების ინდიკატორების/მტკიცებულებების ჩამონათვალს და ობიექტურ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობს სრულად ან ნაწილობრივ მიკერძოებით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებას. 30/2019 ინსტრუქციაზე დაყრდნობით შეიქმნა ახალი პოზიციები, მათ შორის, „მენტორების“ პოზიცია (მრჩევლები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხებზე), რომლებიც დაინიშნენ პოლიციის ყველა განყოფილებაში და ასევე, „სფეროს სპეციალისტი ოფიცრები (ე.ი., სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სპეციალისტები) საოლქო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, რომელთაც კონკრეტული მისია და პასუხისმგებლობები აქვთ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების/ინციდენტების იდენტიფიცირების, მტკიცებულებების შეგროვების და მონიტორინგის კუთხით. კიდევ ერთი ინსტრუქცია გამოსცა გენერალურმა პროკურატურამ 2019 წელს, რომელიც ეხება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მტკიცებულებით ასპექტებს; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნების განსაზღვრას’ იმ ჯგუფებისა და თემების მახასიათებლებს, რომელთაც იცავს კანონი; თეორიულ საკითხებს, რომლებსაც წარმოშობს იურისპრუდენცია და შესაბამის დასკვნებს; მიკერძოების ინდიკატორების განსაზღვრას, რომლებიც ხელს უწყობს მიკერძოების მოტივების არსებობის დადგენას.

ამას გარდა, ხელისუფლების ინფორმაციით, 2010 წლიდან ჩატარდა სხვადასხვა რეგულარული სასწავლო აქტივობები და კურსები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან/ინციდენტებთან დაკავშირებით, პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლებისთვის.

[3] არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განიხილა მინისტრთა კომიტეტმა Gubacsi v. Hungary-ის საქმთა ჯგუფის კონტექსტში (განცხადება No. 44686/07).

რაც შეეხება ინდივიდუალურ ზომებს Balázs-ის საქმეში, პოლიციის ოფიცერი, რომელმაც განმცხადებელზე იძალადა, დამნაშავედ იქნა ცნობილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის და ერთწლიანი პრობაცია დაუნიშნეს. Király და Dömötör-ის საქმეში, პოლიციის გამოძიების ფარგლებში ერთ-ერთი დამნაშავე იდენტიფიცირებული იქნა და დაიკითხა ეჭვმიტანილის სახით. სისხლის სამართლის პროცესის გაგრძელებისთვის საჭირო იყო სხვა პირების იდენტიფიცირება, თუმცა მათი ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. ამის გამო, 2013 წლის სექტემბერში გამოძიება შეჩერდა და საბოლოოდ 2021 წლის სექტემბერში საქმე დაიხურა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. M.F.-ის საქმეში, ექვსი პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო. R.B.-ის საქმეში, იმ დროისთვის არსებული არასათანადო საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, განმცხადებლის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების კრიმინალიზაცია შეუძლებელი იყო და არც სხვა ინდივიდუალური ზომების მიღება იყო შესაძლებელი.

სლოვაკეთი / *Lakatošová და Lakatoš* (655/16)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 11/03/2019

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2021)218

ეს საქმე ეხება ხელისუფლების უუნარობას გამოეძიებინა მასობრივი სროლის ინციდენტის რასისტული მოტივები. კერძოდ, სრულად განხორციელდა ბოშების ოჯახში, პოლიციელის მიერ, რომელიც იმ დროისთვის არ ასრულებდა სამსახურეობრივ მდგომარეობას. შედეგად, მძიმედ დაშავდა ორი ადამიანი, ხოლო სამი გარდაიცვალა. დაკითხვისას ოფიცერმა განაცხადა, რომ იგი ბევრს ფიქრობდა ბოშების პრობლემის „რადიკალურ გადაწყვეტაზე“. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიაქციეს ყურადღება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ვიწრო ფარგლებს.

მოგვიანებით, 2017 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები განისაზღვრა, როგორც ისეთი ქმედებები, რომლებიც ჩადენილია "სპეციფიკური მოტივების" საფუძველზე ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, მათ კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულებების ან რელიგიური მრწამსის გამო. გარდა ამისა, ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში, რასისტული მოტივი დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა, რაც უფრო მკაცრ სანქციებს ითვალისწინებს. 2018 წელს მიღებულ იქნა კანონი „დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ“, რომელიც განსაკუთრებულად მოწყვლად მსხვერპლებად აღიარებს იმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას. მათ შორისაა სექსუალური ორიენტაციის, ეროვნული, რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლები. ამ სფეროში ხელისუფლების მიერ მიღებული სხვა ზოგადი ზომები ამჟამად განიხილება საქმის *R.R. და R.D. სლოვაკეთის წინააღმდეგ* (№ 20649/18) ფარგლებში.

რაც შეეხება ინდივიდუალურ ზომებს, გენერალური პროკურატურის დასკვნით, დანაშაულის რასისტული მოტივის დადასტურების შემთხვევაში, სამართალდამრღვევის ქმედების სამართლებრივი კლასიფიკაცია არსებითად არ შეიცვლებოდა. ეს ნიშნავს, რომ დამნაშავე დაისჯებოდა იგივე სასჯელით, შეზღუდული შერაცხადობის გამო. რაც შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოებას, რომლის მიზანიც იყო შეეფასებინა დანაშაულის შედეგების გავლენა მომჩივნის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, საქმე შეწყდა, რადგან მომჩივნებმა თავიანთი სარჩელი უკან გაიტანეს.

სლოვაკეთი / *Mizigarova* (74832/01)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 13/03/2011

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2016)17

ეს საქმე ეხება ხელისუფლების უუნარობას, დაეცვა 20 წლის ბოშა მამაკაცის სიცოცხლე, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც საპოლიციო პატიმრობაში იქნა დაკითხული. სასამართლომ, ასევე, მიუთითა გამოძიებაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე, რომლებიც უკავშირდებოდა განმცხადებლის მეუღლის სავარაუდო არასათანადო მოპყრობასა და მის შემდგომ გარდაცვალებას.

მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, 2013 წლის აგვისტოდან

ექსტრემიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოძიება უნდა ჩაატაროს პოლიციის გამომძიებელმა და არა ჩვეულებრივმა პოლიციელმა. გარდა ამისა, თითოეულ სასამართლო ოლქში ერთი პროკურორი, პოლიციის ხელმძღვანელის ოფისში სპეციალური განყოფილება და თითოეულ პოლიციის უბანში სპეციალური დანაყოფი იქნა გამოყოფილი ექსტრემიზმთან საბრძოლველად. ამასთან, რეგიონული პოლიციის დეპარტამენტების დონეზე იმუშავებს 231 პოლიციის ოფიცერი, რომლებსაც ექნებათ სპეციალიზაცია უმცირესობებისა და ბოშების საკითხებში. პოლიციის ოფიცრები რეგულარულად გადიან ტრენინგებს ექსტრემისტული დანაშაულის ახალი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლისა და ბოშა მოსახლეობის მიმართ პოლიციის ძალის გადამეტების პრევენციის საკითხებზე. ასევე, გათვალისწინებულია ბოშა წარმოშობის პოლიციელთა რაოდენობის გაზრდა. გარდა ამისა, დაარსდა კომიტეტი რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სხვა ტიპის შეუწყნარებლობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს, როგორც მიუკერძოებელი საკონსულტაციო ორგანო. შეიქმნა ექსტრემისტული სიმბოლოების მონაცემთა ბაზა, რომელიც გამოიყენება მოსამართლეების, პროკურორებისა და პოლიციის მიერ. აღნიშნული ინიციატივა განხორციელდა 2011-2014 წლების ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეგიდით. სასამართლოს გადაწყვეტილება ფართოდ გავრცელდა და დაეგზავნა პოლიციას, პროკურატურას და ეროვნულ სასამართლოებს, ხოლო 2011 წლის ნოემბერში მთავრობის წარმომადგენელმა იგი წარადგინა მოსამართლეებთან და პროკურორებთან გამართულ სემინარებსა და შეხვედრებზე.
რაც შეეხება მომჩივნის მეუღლის გარდაცვალების გამოძიებას, პოლიციელის სუიციდის გამო შეუძლებელი იყო გამოძიების ხელახლა ინიცირება.

Boacă and Others და *Cobzaru*-ს საქმეები ეხება ბოშა განმცხადებლების არასათანადო მოპყრობას საპოლიციო პატიმრობაში ყოფნის დროს. დისკრიმინაციის შესახებ საჩივარი არ ყოფილა გამოძიებული, რის გამოც სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა შესაძლო რასისტული მოტივების გამოძიების ვალდებულება. *Stoica*-ს საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის ოფიცრის მიერ 14 წლის ბოშა არასრულწლოვნის არასათანადო მოპყრობა რასისტული მოტივებით იყო განპირობებული. ასევე, რასიზმის ნიშნით იყო მოტივირებული პოლიციის ოფიცრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

რუმინეთი / *Boacă and Others* (40355/11)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 12/04/2016

რუმინეთი / *Cobzaru* (48254/99)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 26/10/2007

რუმინეთი / *Stoica* (42722/02)[4]
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 04/06/2008

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2016)150

მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, 2006 წელს მიღებული №278 კანონით, რომლითაც ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, შემოღებულ იქნა ეთნიკური/რასობრივი მოტივაცია, როგორც დამამძიმებელი გარემოება, ხოლო პროკურატურას დაევალა, საკუთარი ინიციატივით გამოეკვლია ეთნიკური/რასობრივი მოტივის გავლენა კონკრეტულ საქმეებზე. გარდა ამისა, 2022 წელს აღნიშნულ კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით ასევე კრიმინალიზებულია ძალადობის წაქეზება, ხოლო სიძულვილის, დისკრიმინაციისა და ძალადობის წაქეზებად განიხილება ის შემთხვევებიც, როდესაც გამონათქვამები მიმართულია დაცულ კატეგორიას მიკუთვნებული ადამიანის წინააღმდეგ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის კვლევითი ინსტიტუტი, პოლიციის აკადემია და სხვა რეგიონული სასწავლო დაწესებულებები (რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არიან) 2010-2015 წლებში ახორციელებდნენ პოლიციისა და ჟანდარმერიის ოფიცრების სპეციალურ გადამზადებას. ტრენინგები ძირითადად ფოკუსირებული იყო ადამიანის უფლებების დაცვაზე; პოლიციასა და

[4] ეს საქმეები *Barbu Anghelescu* No. 1 ჯგუფის (No. 46430/99) ნაწილია. ბარბუ ანგელესკუს საქმეების ჯგუფში მიღებული დამატებითი ზომების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ თემატური საინფორმაციო ფურცელი ეფექტური გამოძიების შესახებ.

მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ბოშა მოსახლეობის ურთიერთობაზე; წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე; დისკრიმინაციისა და ეთნიკურ/რასობრივ მოტივებზე დაფუძნებული არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ სფეროში მიღებული დამატებითი ღონისძიებები ამჟამად განიხილება მინისტრთა კომიტეტის მიერ, *Lingurar-ის* საქმის (№ 48474/14) კონტექსტში.
რაც შეეხება მომჩივნებს, ძალადობრივი ქცევისთვის გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ამგვარი მოპყრობის რასობრივი მოტივები ექვემდებარება ხანდაზმულობას, რის გამოც შეუძლებელი იყო სადავო სამართალწარმოების ხელახლა ინიცირება.

1.2. კერძო პირების ან ჯგუფების მონაწილეობით ბოშების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

Angelova და Iliev-ის საქმე ეხება მოზარდთა ჯგუფის მიერ ბოშას რასისტულ მკვლელობას, ასევე, ხელისუფლების უუნარობას გამოეძიებინა შემთხვევა და თავდამსხმელებისთვის რასისტული მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის წარედგინა ბრალი. *Abdu-ს* საქმე ეხება ხელისუფლების მიერ შესაძლო რასისტული მოტივის გამოძიების ვალდებულების შეუსრულებლობას, ბულგარელი ახალგაზრდების მიერ სუდანელი განმცხადებლის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით. *Yotova-ს* საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ბოშა განმცხადებლის წინააღმდეგ სავარაუდოდ ბულგარელი ახალგაზრდების მიერ ჩადენილი მკვლელობის მცდელობის სათანადო გამოძიება, ასევე ვერ დაადგინა, იყო თუ არა დანაშაული რასისტული მოტივით ჩადენილი.

ბულგარეთი / *Angelova and Iliev* group (55523/00)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 26/10/2007

ბულგარეთი / *Abdu* (26827/08)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 11/06/2014

ბულგარეთი / *Yotova* (43606/04)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 23/01/2013

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2017)383

მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, 2011 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მკვლელობის და სხეულის დაზიანების შემთხვევებში რასისტული ან ქსენოფობიური მოტივები წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას. ასევე, იხ. შედარებით რელევანტური ზომები, რომლებიც ციტირებულია ზემოთ, საქმის *„Nachova and others v. Bulgaria“* კონტექსტში.

რაც შეეხება *Angelova და Iliev-ის* საქმეში განმცხადებლებს, ერთ-ერთი პირს, რომელიც განმცხადებლების ნათესავის მოკვლისთვის ასამართლებდნენ, სააპელაციო სასამართლომ სასჯელი გაუზარდა და შეუფარდა პირობითი მსჯავრი სამი წლის ვადით, მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ მას საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ გაზარდა განმცხადებლებისთვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა. მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ. *Abdu-ს* საქმესთან დაკავშირებით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის და გამოძიების ეტაპზე ხარვეზების გამო, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა ზომების მიღება შეუძლებელი იყო. *Yotova-ს* საქმეში, თავდამსხმელთა წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის წარმოება 2014 წელს შეწყდა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა.

Šečić-ის საქმე ეხება არაეფექტურ გამოძიებას, რომელიც ჩატარდა ბოშა განმცხადებლის მიერ მიღებული დაზიანებებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ იცოდა, რომ თავდამსხმელები სავარაუდოდ სკინჰედთა ჯგუფის წევრები იყვნენ, რომლებიც ექსტრემისტულ და რასისტულ იდეოლოგიას მისდევენ. *Škorjanec-ის* საქმეში, განმცხადებელი და მისი ბოშური წარმოშობის პარტნიორი დაექვემდებარნენ თავდასხმას ორი პირის მხრიდან, რომლებიც ბოშების წინააღმდეგ მიმართული შეურაცხმყოფელ ფრაზებს წარმოთქვამდნენ. სასამართლომ გააკრიტიკა

ხორვატია / *Šečić* group (40116/02)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 31/08/2007

ხორვატია / *Škorjanec* (25536/14)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 28/06/2017

ის ფაქტი, რომ პროკურატურამ გამოძიების და შეფასების ფარგლებში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ელემენტთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა მხოლოდ მომჩივნის პარტნიორის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ თავდასხმაზე და არ დაადგინა, თავდამსხმელებმა მომჩივანი აღიქვეს თუ არა, როგორც ბოშური წარმოშობის მქონე.

ამ საქმის შემდეგ, 2008 წელს მიღებულ იქნა დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონი, რომელმაც პირდაპირ აკრძალა პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, განსაკუთრებით რასისა და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით. დისკრიმინაციასთან ბრძოლის კანონის შესაბამისად, ომბუდსმენი გახდა დისკრიმინაციის აღმოფხვრის ცენტრალური ორგანო, რომელსაც დაევალა ხელისუფლების მიერ კანონთან შესაბამისობის ზედამხედველობა. გარდა ამისა, 2013 წლიდან მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სხვა დანაშაულების მძიმე ფორმად განსაზღვრა. რაც შეეხება რეგულაციებს, 2021 წლის აპრილში ძალაში შევიდა ახალი პროტოკოლი, რომელიც მიზნად ისახავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სამართლებრივი პროცესების გაუმჯობესებას. ახალი პროტოკოლი აფართოებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესაძლო ინდიკატორებს, რომლებიც პოლიციამ გამოძიებისას უნდა შეისწავლოს. ეს ინდიკატორები მოიცავს: მსხვერპლის კუთვნილებას კონკრეტულ ჯგუფთან; დამნაშავის კავშირს ექსტრემიზმის მხარდამჭერ ჯგუფთან; თავდასხმის შესაძლო სიძულვილის მოტივის აღქმას მსხვერპლის ან მოწმის მიერ; საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალების გამოყენებას, რომლებიც კონკრეტული ჯგუფის მიმართ სიძულვილს აღვივებს; ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის გავრცელებას და სხვა.

ასევე, 2013 წელს მთავრობამ მიიღო ბოშების ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია 2013-2020, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და პროკურორებისთვის არის განკუთვნილი. მისი მიზანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი სწორად კვალიფიცირება, განსაკუთრებით, ბოშებთან დაკავშირებულ შემთხვევებში. 2017 წელს, ადამიანის უფლებებისა და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მთავრობის ოფისმა (OHRRNM) წამოიწყო პროექტი *„მონაცემთა შეგროვება და მონიტორინგი ბოშების ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელებისთვის“*. 2018-2019 წლებისთვის სტრატეგიის განსახორციელებლად დამტკიცდა განახლებული სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, 2017-2019 წლების დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული გეგმის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მიზნობრივ ტრენინგებს დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებზე, განსაკუთრებით, პროკურორებისთვის, პოლიციის თანამშრომლებისთვის და საჯარო მოხელეებისთვის.

Šečić-ის საქმესთან დაკავშირებით, ახალი გამოძიების დაწყება შეუძლებელი იყო, საქმეზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. *Škorjanec-ის* საქმეში, ზაგრების მუნიციპალიტეტის პროკურატურამ 2017 წელს, ex officio უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლა განმცხადებლის საჩივარი და თავდასხმის შესაძლო რასისტული მოტივი - სავარაუდოდ, ბოშა პარტნიორთან ასოცირება - და უარი თქვა სამართლებრივი დევნის დაწყებაზე.

მონტენეგრო / *Alković* (66895/10)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 05/03/2018

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2018)384

ეს საქმე ეხება მომჩივნის, მუსლიმი ბოშის წინააღმდეგ მეზობლების მიერ განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის საქმის არაეფექტურ გამოძიებას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პასუხად, პროკურატურამ წარმოადგინა ახალი პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც ეხებოდა რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმომავლობის ან ეროვნების ნიშნით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზების შესახებ საჩივრების გამოძიებას. ასევე, წარმოდგენილი იქნა პოდგორიცის უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა. სასამართლოს და პროკურატურის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი ღონისძიებები, მათ შორის რეგიონული კონფერენცია დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხზე, რომელსაც ორგანიზება გაუწია საკონსტიტუციო სასამართლომ, 2017 წელს. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოყენებული იქნა მოსამართლეებისა და პროკურორების მოსამზადებელი ცენტრის სასწავლო აქტივობებში.

რაც შეეხება განმცხადებელს, საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ, პროკურორმა დაადგინა, რომ ახალი გამოძიების ჩატარება შეუძლებელი იყო, რადგან ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის გასული იყო მოცემულ ფაქტებთან დაკავშირებით სამართლებრივი დევნის წარმოების ვადა. ამასობაში, განმცხადებელი ბელგიაში გადასახლდა.

სლოვაკეთი / *Koky and Others* (13624/03)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 12/09/2012

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2017)86

საქმე ეხება კონვენციის 3-ე მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას, ბოშა განმცხადებლებზე კერძო პირების მიერ განხორციელებული ფიზიკური თავდასხმისა და მიყენებული დაზიანებების არაეფექტური გამოძიების გამო.

გადაწყვეტილების პასუხად, 2014 წლის თებერვალში 1990 წლის „სამართალდარღვევათა აქტში“ განხორციელდა ექსტრემიზმის კრიმინალიზაცია. ამასთანავე, 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ახალი რეგულაცია, რომელიც ეხებოდა ექსტრემიზმთან და ფანატიკურ ძალადობასთან ბრძოლას. ამ რეგულაციით, შემოღებული იქნა გამომძიებელთა სპეციალიზაცია ექსტრემისტული და რასისტული მოტივებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელთა მიზანსაც რასისტული მოტივებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა წარმოადგენდა. ამ ცვლილებებით, ამ კატეგორიის დანაშაულებზე განსჯადობა საოლქო სასამართლოებიდან გადაეცა სპეციალიზებულ სისხლის სამართლის სასამართლოებს. ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები და ტრენინგები პროკურორებისთვის და მოსამართლეებისთვის.

რაც შეეხება განმცხადებლებს, 2003 წელს თავდასხმის საქმეზე შეწყვეტილი გამოძიება განახლდა 2012 წელს, თუმცა, დამნაშავე პირების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლის საფუძველზე, რადგან დადგენილი ფაქტები არ იძლეოდა საკმარის საფუძველს ბრალის წარდგენისთვის. გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ.

ამ საქმეებში დარღვევები უკავშირდება კერძო პირების მიერ ბოშა განმცხადებელთა სახლების რასისტული მოტივით განადგურებას ჰარღიტას, ჯურჯიუსა და მურეშის რეგიონებში. დარღვევები ეხება, inter alia, არასათანადო საცხოვრებელ პირობებს და ხელისუფლების ზოგად დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, რის გამოც ხანგრძლივი დროის მანძილზე ეს დარღვევები არ აღმოფხვრილა.

Gergely, Kalanios და სხვების, ასევე *Tănase და სხვების* საქმეებში, რუმინეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა ცალმხრივი დეკლარაციები, სადაც იგი აღიარებდა აღნიშნული მოვლენების შედეგად კონვენციის მე-3, მე-6, მე-8, მე-13 და მე-14 მუხლების დარღვევას. ამ კონტექსტში, რუმინეთის ხელისუფლებამ იკისრა ვალდებულება, რომ გადაეხადა კომპენსაცია განმცხადებლებისთვის და განეხორციელებინა რიგი ზოგადი ღონისძიებები, რათა თავიდან აეცილებინა მსგავსი დარღვევების განმეორება.

ხელისუფლების მიერ გატარებული ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მსგავსი დარღვევების პრევენციას, მოიცავდა მთავრობის No.137/2000 განკარგულებას[5] დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და დასჯის შესახებ; და 2002 წელს დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული საბჭოს (CNCD) შექმნას[6], რომელიც პასუხისმგებელია დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიების შემუშავებაზე და განხორციელებაზე, მათ შორის ბოშათა უფლებების დასაცავად.

გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საპასუხოდ, მიღებული იქნა მიზნობრივი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბოშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას. გატარდა შემდეგი ღონისძიებები: სახლების რეკონსტრუქცია და/ან სოციალური საცხოვრებლით უზრუნველყოფა; სამედიცინო ცენტრების შექმნა, საჭიროების შესაბამისად; სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურული ცენტრების მშენებლობა; მოსახლეობისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა იმ რეგიონებში, სადაც ეს აუცილებელი იყო. გარდა ამისა, გატარებულ იქნა ღონისძიებები განათლებისა და ზრდასრული ბოშების გადამზადების მიმართულებით და ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის წასახალისებლად. აღნიშნული განხორციელდა ორმხრივი დახმარებისა და სათემო განვითარების პროექტების ხელშეწყობით. დისკრიმინაციის, სტერეოტიპებისა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების პრევენციის მიზნით, სკოლებში დაინერგა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე, განხორციელდა საინფორმაციო პროგრამები ფართო საზოგადოებისთვის და ტრენინგები სამართლებრივ საკითხებზე, ბოშათა თემის ჩართულობით.

***რუმინეთი / Moldovan და სხვები (No 2)* საქმეთა ჯგუფი** (41138/98 და 64320/01)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 30/11/2005

რუმინეთი / Gergely (57885/00)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 26/07/2007

რუმინეთი / Kalanyos და სხვები (57884/00)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 26/07/2007

რუმინეთი / Tănase და სხვები (62954/00)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 26/08/2009

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2016)39, CM/ResDH(2015)214 და CM/ResDH(2015)238

[5] აღნიშნულმა რეგულაციამ მოახდინა ევროპის საბჭოს 2000 წლის 29 ივნისის 2000/43/EC დირექტივის გადმოტანა ეროვნულ კანონმდებლობაში. დირექტივა უზრუნველყოფს პირთა თანასწორი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას, განურჩევლად მათი რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობისა

[6] 2007-2013 წლების ეროვნული სტრატეგია დისკრიმინაციასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

1.3. უსაფრთხოების ძალების მონაწილეობით, მიგრანტების წინააღმდეგ ჩადენილი

ბელგია / *Turan Cakir*
(44256/06)
საბოლოო გადაწყვეტილების
თარიღი: 10/06/2009

საბოლოო რეზოლუცია:
CM/ResDH(2015)159

ეს საქმე ეხება 1996 წელს, განმცხადებლის დაკავებისა და პატიმრობის პერიოდში, მის მიმართ პოლიციის მიერ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის არაეფექტურ გამოძიებას. თავდასხმის სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო შესაძლო რასისტული მოტივის, სიძულვილის ან ეთნიკური წარმოშობის ნიშნით შეუწყნარებლობის დადგენა, რითაც სავარაუდოდ განპირობებული იყო აღნიშნული მოვლენები.

პასუხად, ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ 2003 წლის 25 თებერვლის კანონის საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის *405quater* მუხლში დამატებულ იქნა "დისკრიმინაციული ნიშანი"[7], როგორც სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულის (მათ შორის, მკვლელობის და სხეულის დაზიანების) დამამძიმებელი გარემოება. გარდა ამისა, 2013 წლის 14 იანვრის ცვლილების შედეგად, კიდევ უფრო გამკაცრდა აღნიშნული მუხლი და გაიზარდა მაქსიმალური სასჯელი დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი მკვლელობისა და განზრახ თავდასხმის შემთხვევაში. 2007-2012 წლებში, ოფიციალურად დარეგისტრირდა 108 შემთხვევა, რომლებიც რასისტული მოტივით განხორციელებულ თავდასხმებსა და სხეულის დაზიანებას უკავშირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის დანაშაულებზე სასჯელის შეფარდების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, ხელისუფლებამ მიუთითა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებზე[8], სადაც მოსამართლეებმა რასისტული მოტივი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნიეს. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ დღესდღეობით სასამართლო ორგანოები აქტიურად იძიებენ და განიხილავენ დისკრიმინაციულ, მათ შორის რასისტულ მოტივებს, როგორც სხვადასხვა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას, მათ შორის, როდესაც დანაშაული პოლიციელის მიერ არის ჩადენილი. გარდა ამისა, პოლიციის ოფიცრებს საწყისი მომზადების ეტაპზე ასწავლიან, როგორ მოახდინონ დისკრიმინაციისა და რასიზმის საწინააღმდეგო კანონების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირება და მათი შეტყობინება. ასევე, უწყვეტად მიმდინარეობს ტრენინგები სამართლებრივი ჩარჩოსა და მისი აღსრულების შესახებ. პოლიციელებისა და მაგისტრატების გადამზადება კიდევ უფრო გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და პროკურორთა კოლეჯის ერთობლივი ცირკულარი C O L 13/2013. იგი ეხება ჰოლოკოსტის უარყოფის, დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სფეროში კვლევას და სამართლებრივი დევნის პოლიტიკას, განსაკუთრებით, როდესაც დანაშაული ჩადენილია მსხვერპლის ეროვნების, სავარაუდო რასის, კანის ფერის, წარმოშობის ან ეთნიკური თუ ეროვნული წარმომავლობის ნიშნით. ეს ცირკულარი, ასევე, ითვალისწინებს ამ სფეროში „პასუხისმგებელი“ პოლიციელებისა და მაგისტრატების განსაზღვრას. პოლიციელები, ასევე, გადიან ტრენინგებს მრავალფეროვნების მართვისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხებზე.

რაც შეეხება მომჩივანს, სასამართლოს მიერ მინიჭებული სამართლიანი დაკმაყოფილების გარდა სხვა ინდივიდუალური ზომები ვერ განხორციელდა, რადგან ხანდაზმულობის გამო შეუძლებელი იყო მოძალადეების მიმართ სისხლის სამართლის და/ან დისციპლინური წარმოების (ხელახლა) ინიცირება.

---

[7] როგორიცაა „სიძულვილი, ზიზღი ან მტრული დამოკიდებულება პირის მიმართ, მისი სავარაუდო რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, მოქალაქეობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სამოქალაქო სტატუსის, დაბადების, ასაკის, ქონებრივი მდგომარეობის, რელიგიური ან ფილოსოფიური შეხედულებების, ამჟამინდელი ან სამომავლო ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, ფიზიკური ან გენეტიკური მახასიათებლების ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე“.

[8] განსაკუთრებით, ბრიუგეს, ბრიუსელის, დინანის, ლუვენის, მალინის და ტონგერის სისხლის სამართლის სასამართლოებიდან, ასევე ჰაინოს და ანტვერპენის ჟიურის სასამართლოებიდან და ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოდან.

ესპანეთი / *B.S.* (47159/08)
საბოლოო გადაწყვეტილების
თარიღი: 24/10/2012

**განხორციელების
სტატუსი: მიმდინარე**

**განხორციელებული
ქმედებების**

**შესახებ ანგარიში: DH-
DD(2022)661**

საქმე ეხება პოლიციის მიერ მიგრანტი მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობას, შესაძლო რასისტული მოტივით.

მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, 2010 წლის 22 ივნისის ორგანული კანონით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 22.4 მუხლი, რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. შედეგად, გამომძიებელ მოსამართლეებს დაეკისრათ ვალდებულება, ემსჯელათ, თუ რამდენად მოიცავდა შესაძლო სისხლის სამართლებრივი ქმედება დამამძიმებელ დისკრიმინაციულ მოტივებს. რეგულარული ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებას, ტარდებოდა მოსამართლეებისა და მაგისტრებისთვის, ევროპის საბჭოს HELP-ის კურსზე დაყრდნობით, რომელიც ესპანურ ენაზე ითარგმნა და ეხება რასიზმთან, ქსენოფობიასთან, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლას.

ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მიღებულ იქნა კანონი 4/2010 ეროვნული პოლიციის დისციპლინური რეჟიმის თაობაზე, რომლითაც შემოღებული იქნა დისკრიმინაციის დისციპლინური გადაცდომა, inter alia, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის ან ნებისმიერი სხვა პერსონალური თუ სოციალური მდგომარეობის საფუძველზე. ამრიგად, შესაძლებელი გახდა საჩივრების შეტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალისა და უსაფრთხოების სამსახურის ინსპექტორატში, სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებისა და ორგანოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთ ინციდენტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავს დისკრიმინაციას. ინსპექტორატის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, საჩივრები გადაეცემა დისციპლინურ ან სასამართლო ორგანოს განსახილველად. ამას გარდა, 2019 წლის მაისში, სახელმწიფო უსაფრთხოების მდივანმა გამოსცა საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო მოქალაქეების მიერ წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით, მათ შორის, სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებზე. პარალელურად, გენერალურმა პროკურატურამ მიიღო 7/2019 ცირკულარი, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 510-ე მუხლის თანახმად სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინტერპრეტაციის შესახებ გაიდლაინებს. იგი ხაზს უსვამს, რომ ძალადობრივი ინციდენტების გამოძიებისას, ეროვნულ ორგანოებს ეკისრებათ დამატებითი ვალდებულება, გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი იმისათვის, რომ გამოავლინონ რასისტული მოტივები და განსაზღვრონ, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი ეთნიკურ სიძულვილს ან წინასწარგანწყობას მოცემულ მოვლენებში.

ამას გარდა, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური სექცია გენერალურ პროკურატურაში, რომელიც პასუხისმგებელია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებაზე, სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებაზე სიძულვილით მოტივირებული ინციდენტებისა და დანაშაულების შესახებ, ეროვნულ დონეზე და კონკრეტულ სფეროებში, და ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისა და კოლექტივების იდენტიფიცირებაზე.

რაც შეეხება განმცხადებელს, მისი საჩივრების გამოძიების პროცედურა (Diligencias previas) 2007 წლის მარტში დასრულდა პალმა დე მაიორკას პროვინციული სასამართლოს გადაწყვეტილებით. მცირე სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ პროცესში (Juicio de faltas), 2009 წლის 6 აპრილის განაჩენით, ბრალდებული პოლიციელები გამართლდნენ. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, გამოძიების ხელახლა ინიცირება შეუძლებელი იყო.

1.4. კერძო პირების ან ჯგუფების მიერ მიგრანტების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა

საბერძნეთი / *Sakir*
(48475/09)
საბოლოო გადაწყვეტილების
თარიღი: 24/06/2016

საბოლოო რეზოლუცია:
CM/ResDH(2022)108

საქმე ეხება მიგრანტი განმცხადებლის წინააღმდეგ შეიარაღებული პირების ჯგუფის მხრიდან განხორციელებული თავდასხმისა და მიღებული დაზიანებების არაეფექტურ გამოძიებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა ათენში არსებული რასისტული ძალადობის ზოგადი კონტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში უცხოელებზე თავდასხმები ექსტრემისტული ჯგუფების მიერ რეგულარულად ხდებოდა.

მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, 2015 წელს მიღებულ იქნა კანონი №4356, რომლითაც ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის 81A მუხლში, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განმარტებას ითვალისწინებს. შედეგად, აღარ არის საჭირო იმის დამტკიცება, რომ დამნაშავე მსხვერპლის მიმართ სიძულვილს გრძნობდა მისი რასის, კანის ფერის, რელიგიის და ა.შ. გამო. ამჟამად, დანაშაულის სიძულვილით მოტივირებულად მიჩნევა შესაძლებელია მაშინაც, თუ დამნაშავემ მსხვერპლი აირჩია ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა: რასა, კანის ფერი, რელიგია, წარმომავლობა, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, შეზღუდული შესაძლებლობა. გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში საკასაციო სასამართლოს პროკურორმა ყველა პროკურორს გაუგზავნა ცირკულარი, სადაც შეახსენა კონვენციითა და კონსტიტუციით გათვალისწინებული მოვალეობები და მოუწოდა, გამოეჩინათ სიმკაცრე რასისტული მოტივებით ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე რეაგირებისას. ეს ცირკულარი ასევე გადაეგზავნა პოლიციას.

გარდა ამისა, ათენსა და სალონიკში პოლიციის სამმართველოებში შეიქმნა ორი სპეციალიზებული განყოფილება, რომლებიც რასისტული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე არიან პასუხისმგებელნი. საერთო ჯამში, რასისტული ძალადობის შემთხვევების გამოძიებაზე მუშაობს 68 ოფისი (მათ შორის, 5 ათენში და 63 რეგიონულ დონეზე). 24 ბერძნულ სასამართლოში დაინიშნენ სპეციალიზებული პროკურორები, რომლებიც რასისტული ძალადობის საქმეებზე მუშაობენ. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დანერგა უწყვეტი გადამზადების პროგრამები პროკურორებისთვის, მოსამართლეებისთვის და პოლიციის თანამშრომლებისთვის, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ კანონმდებლობის პრაქტიკულ განხორციელებას ეხება. ზოგიერთი პროგრამა ეყრდნობა ევროპის საბჭოს ექსპერტიზას. ამასთან, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულმა 2020-2023 წლების ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ მკაფიოდ გაუსვა ხაზი ხელისუფლების მზადყოფნას, რასიზმისა და შეუწყნარებლობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა განახორციელოს.

რაც შეეხება განმცხადებელს, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ, 2016 წლის ნოემბერში ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორმა თავდასხმასთან დაკავშირებით ახალი წინასწარი გამოძიების დაწყების განკარგულება გასცა. თუმცა, საქმე დაიხურა, რადგან განმცხადებელი მის იურიდიულ მისამართზე არ იმყოფებოდა. 2019 წელს მინისტრთა კომიტეტმა მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია გამოძიების შემდგომი ქმედებების შესახებ, რის გამოც წინასწარი გამოძიება კვლავ განახლდა, თუმცა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. 2020 წლის ოქტომბერში პროკურატურამ განმცხადებლის მოძებნა კვლავ სცადა, რათა თავდასხმა მკვლელობის მცდელობის მუხლით გადაკვალიფიცირებულიყო, რადგან ეს

დანაშაული არ ექვემდებარება ხანდაზმულობის ვადას. პოლიციამ ვერ შეძლო განმცხადებლის პოვნა, რის გამოც საქმე დაიხურა. ახალი მტკიცებულებების გამოვლენის შემთხვევაში, გამოძიება შესაძლოა განახლდეს.

2. ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლა

ლიეტუვა / *Beizaras and Levickas* (41288/15)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 14/05/2020

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

სამოქმედო გეგმა/ ანგარიში: DH-DD(2021)852

ეს საქმე ეხება ხელისუფლების დისკრიმინაციულ უარს, დაეწყო გამოძიება ონლაინ სივრცეში მომჩივნების წინააღმდეგ ექსტრემალური ჰომოფობიური გამონათქვამების გამოყენებასთან, მათ შორის, ძალადობისკენ ღიად მოწოდებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ, 2020 წლის მარტში გენერალურმა პროკურორმა დაამტკიცა ახალი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები პროკურორებისა და პოლიციის ოფიცრებისთვის, რომლებიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში წინასასამართლო ეტაპზე გამოძიების წარმოებას ეხება. ეს რეკომენდაციები ფართოდ იქნა გავრცელებული რეგიონული პროკურატურებისა და პოლიციის ხელმძღვანელებს შორის. გარდა ამისა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებას, შესაძლებლობის ფარგლებში, სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რეგიონული პროკურორები ახორციელებენ 2016 წლიდან მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვას, რომლებიც ეხებოდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების სავარაუდო შემთხვევებში წინასასამართლო გამოძიების დაწყებაზე უარს. 2017-2021 წლებში სამართალდამცავი ორგანოებისათვის ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგების სერია, რომელშიც ჩართული იყო გენერალური პროკურატურა, მთავრობის წარმომადგენელი და თანასწორი შესაძლებლობების ომბუდსმენის აპარატი. 2021 წლის დეკემბერში გაიმართა ადამიანის უფლებათა ეროვნული ფორუმი, რომელიც სიძულვილის ენას ეხებოდა. 2021 წლის აპრილიდან, ლიეტუვის პოლიციის ოფისმა შექმნა ვირტუალური პატრულირების განყოფილება, რომელიც სოციალურ ქსელებს უწევს მონიტორინგს და კიბერსივრცეში პრევენციულ საქმიანობას ახორციელებს. ამ ერთეულს ევალება ინფორმაციის შეგროვება სიძულვილის ენის გამოყენების, დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წაქეზების სავარაუდო შემთხვევებზე. შეგროვებული ინფორმაცია გადაეცემა პოლიციის შესაბამის განყოფილებას, შემდგომი გამოძიებისათვის. გენერალური პროკურატურა, ასევე, გეგმავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების ელექტრონული რეგისტრაციისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვას. ამასთან ერთად, წარმოდგენილი იქნა მაგალითები შიდა სასამართლოების პრაქტიკიდან (საოლქო და საკონსტიტუციო სასამართლოების ჩათვლით), რომლებიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეყრდნობა და ხაზს უსვამს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის სიმძიმეს. ეს მაგალითები ბოლო წლებში დადებითი ტენდენციის არსებობას ადასტურებს, რაც ინტერნეტში დისკრიმინაციული და ჰომოფობიური სიძულვილის შემცველი კომენტარების ავტორთა დაუსჯელობის აღმოფხვრისკენ არის მიმართული.

რაც შეეხება განმცხადებლებს, ხელისუფლების თავდაპირველი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც განმცხადებლებს უარი ეთქვათ წინასაპროცესო გამოძიების დაწყებაზე, გაუქმდა და 2020 წლის ივლისში, სისხლის სამართლის კოდექსის 170§2

მუხლის საფუძველზე დაიწყო წინასასამართლო გამოძიება 29 პირის მიერ გაკეთებულ 31 კომენტართან დაკავშირებით, ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით სიძულვილის შესაძლო წაქეზებაზე. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შვიდ საქმეზე სისხლის სამართლის წარმოება შეწყდა; 22 საქმეზე პროცესი კვლავ მიმდინარეობდა; ხუთ საქმეში უცხო ქვეყნებს გაეგზავნათ სამართლებრივი დახმარების მოთხოვნა, საზღვარგარეთ მცხოვრებ ეჭვმიტანილთა დაკითხვისთვის. თუმცა, იმის გამო, რომ მომხდარიდან დიდი დროა გასული, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა 13 პირის იდენტიფიცირება. თუ მათი ვინაობა დადგინდება, გამოძიება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლებრივი დევნისთვის ხანდაზმულობის ვადა არ იქნება გასული.

რუმინეთი / *M.C. და A.C.* (12060/12)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 12/07/2016

აღსრულების სტატუსი: მიმდინარე

სამოქმედო გეგმები/ანგარიშები: DH-DD(2018)808, DH-DD(2017)101

საქმე ეხება ხელისუფლების უუნარობას, ეფექტურად გამოეძიებინა მომჩივნების წინააღმდეგ ადამიანთა ჯგუფის მიერ ჰომოფობიით მოტივირებული სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმები.

2006 წელს, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი, მათ შორის, სექსუალური ორიენტაცია, დამამძიმებელი გარემოების სახით იქნა გათვალისწინებული. შედეგად, შესაბამის ორგანოებს ex officio უფლებამოსილების ფარგლებში დაევალათ იმის გამოძიება, თუ რა გავლენა აქვს ასეთ მოტივს მოცემულ საქმეში. რაც შეეხება სიძულვილის ენას, 2006 წელს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი გახდა სიძულვილის ან დისკრიმინაციის წახალისება ადამიანთა გარკვეული კატეგორიის წინააღმდეგ. ამას გარდა, 2022 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კრიმინალიზებულია ძალადობის წახალისება, ხოლო სიძულვილის, დისკრიმინაციისა და ძალადობის წახალისება დანაშაულს წარმოადგენს მაშინაც, როდესაც გამონათქვამები მიმართულია დაცულ კატეგორიას მიკუთვნებული პირის წინააღმდეგ.

ამას გარდა, 2021 წელს, რუმინეთის პოლიციის გენერალური ინსპექციის სისხლის სამართლის გამოძიების დეპარტამენტის ფარგლებში (IGPR) ჩამოყალიბდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების სპეციალიზებული ოფისი. 2020 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების ახალი მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს პრაქტიკულ ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენასთან და გამოძიებასთან დაკავშირებით. იგი ფართოდ გავრცელდა პროკურორებს შორის და გაეგზავნა სასამართლოს ეროვნულ ინსტიტუტს, პროკურორთა მოსამზადებელ და პროფესიულ სწავლებაში გასათვალისწინებლად. განხორციელდა ძალისხმევა, მათ შორის, ევროპის საბჭოს შესაბამის განყოფილებებთან თანამშრომლობის საფუძველზე, იმისათვის, რომ გაზრდილიყო მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე მოხელეთა ინფორმირებულობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ და გაუმჯობესებულიყო მათი შესაძლებლობა, გამოავლინონ და ადეკვატური რეაგირება განახორციელონ ჰომოფობიურ ქმედებებზე. ამას გარდა, შეიქმნა 2021-2023 წლების ეროვნული სტრატეგია ანტისემიტიზმთან, ქსენოფობიასთან, რადიკალიზაციასთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს: არსებული საჭიროებების შეფასებას შესაბამისი კანონმდებლობის განსამტკიცებლად; შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების შესაძლებლობების გაუმჯობესებას აღნიშნულ ფენომენებთან ბრძოლის კუთხით; ტოლერანტობის, სამოქალაქო განათლების და საზოგადოების მედეგობის ამაღლებას და მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებას.

2021 წლის დეკემბერში მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, რუმინეთის ხელისუფლება მიიწვიეს, რათა მას წარმოედგინა დამატებითი ინფორმაცია, inter alia, იმ კონკრეტული ზომების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების

შეტყობინების და აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის, ისევე, როგორც იმ ზომების შესახებ, რომლებიც საჭიროა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მონაცემთა შეგროვების გასაუმჯობესებლად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გავრცელებისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ მასზე რეაგირების შესახებ ინტეგრირებული და თანმიმდევრული წარმოდგენის შექმნის მიზნით.

3. რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლა

სერბეთი / *Milanović*
(44614/07)
საბოლოო გადაწყვეტილების თარიღი: 20/06/2011

საბოლოო რეზოლუცია: CM/ResDH(2019)365

საქმე ეხება ხელისუფლების უუნარობას, დაეცვა მომჩივანი, ჰარე კრიშნას რელიგიური თემის ლიდერი, სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებული მუქარისა და თავდასხმებისგან, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზიანებებისგან, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება და მოეხდინა მომჩივნის არასათანადო მოპყრობის განმეორებითი შემთხვევების პრევენცია.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პასუხად, 2012 წელს ცვლილებები იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც შემოღებული იქნა „სიძულვილით მოტივირებული“ დანაშაული და „სიძულვილის მოტივი“, როგორც დამამძიმებელი გარემოება. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის (2013) თანახმად, პროკურატურას მიენიჭა გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება და გაიზარდა თანამშრომლობა პოლიციასა და პროკურატურას შორის. 2015 წლის დეკემბერში, გენერალურმა პროკურორმა გამოსცა სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, მათ შორის, რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ ჩანაწერების წარმოებას. 2017 წელს, გენერალურმა პროკურორმა გამოსცა გაიდლაინები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ, რათა გაეზარდა პროკურორთა ინფორმირებულობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სამართლებრივი დევნის მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში, კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად. 2018 წელს, პროკურატურამ დაამტკიცა ახალი, სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუქცია პროკურატურის სააპელაციო, ზემდგომი და საბაზისო ოფისებისთვის, რომელიც ითვალისწინებს „სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე საკონტაქტო პირების“ დანიშვნას, რათა გაიზარდოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევებზე პროკურატურის რეაგირების ეფექტურობა და თანმიმდევრულობა. აღნიშნული საკონტაქტო პირების მოვალეობები მოიცავს, *inter alia*, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მონიტორინგს და აღრიცხვას, კონსულტაციის გაწევას სამართლებრივი დევნის პროცესში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლებთან კონტაქტის შენარჩუნებას და თანამშრომლობას პოლიციასთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მსხვერპლებს მხარდაჭერით უზრუნველყოფენ. მსხვერპლთა უკეთესი მხარდაჭერისთვის, ბელგრადში, ნოვი სადში, ნიშში და კრაგუჟევაცში მდებარე ზემდგომი პროკურატურის ფარგლებში შეიქმნა საინფორმაციო ოფისები, რომლებიც დაზარალებულებისა და მოწმეებისთვის დახმარების გაწევაზე არიან პასუხისმგებელნი.

რაც შეეხება ზოგადად დისკრიმინაციას, 2009 წელს მიღებული დისკრიმინაციის

აკრძალვის კანონი გახდა ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან (მათ შორის რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციისგან) ეფექტურ დაცვას. იგივე კანონი ადგენს მსხვერპლის უფლებას, რომ დისკრიმინაციისგან დაცვის მოთხოვნით მიმართოს სამოქალაქო საქმეების განმხილველ სასამართლოს. გარდა ამისა, შეიქმნა თანასწორობის კომისარი, რომელიც დამოუკიდებელ ინსტიტუციას წარმოადგენს და დისკრიმინაციის შემთხვევების გამოძიებისა და მათი გადაჭრის რეკომენდაციების შემუშავების უფლებამოსილება ენიჭება. შემდეგი სტრატეგიების ფარგლებში გატარდა პოლიტიკისა და ადმინისტრაციული ზომები: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2013-2018); სერბეთის რესპუბლიკაში ბოშათა სოციალური ინტეგრაციის სტრატეგია (2016-2020); სასამართლო რეფორმის ეროვნული სტრატეგია (2013-2018). 2015-2018 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების რაოდენობა. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა გარკვეული ექსტრემისტული ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები.

რაც შეეხება განმცხადებელს, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პოლიციამ მიიღო ზომები განმცხადებლის შესაძლო თავდასხმებისგან დასაცავად, რაც მათ შორის მოიცავდა განმცხადებლის სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის პერიოდულად შემოწმებას. ასევე, ჩატარდა გამოძიება თავდამსხმელებისა და იმ პირების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც რელიგიური სიძულვილისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა, გამოძიებამ ვერ მოიტანა რაიმე კონკრეტული შედეგი. 2013 წელს გამოძიება შეწყდა, რადგან საქმე გახდა ხანდაზმული.

საქმეთა ინდექსი

ბელგია / ***Turan Cakir*** (44256/06) 12
ბულგარეთი / ***Abdu*** (26827/08) 8
ბულგარეთი / ***Angelova and Iliev* group** (55523/00) 8
ბულგარეთი / ***Nachova*** *და სხვები* (43577/98 და 42579/98) 3
ბულგარეთი / ***Yotova*** (43606/04) 8
ესპანეთი / ***B.S.*** (47159/08) 13
ლიეტუვა / ***Beizaras and Levickas*** (41288/15) 15
მონტენეგრო / ***Alković*** (66895/10) 10
რუმინეთი / ***Cobzaru*** (48254/99) 7
რუმინეთი / ***Gergely*** (57885/00) 11
რუმინეთი / ***Kalanyos*** *და სხვები* (57884/00) 11
რუმინეთი / ***M.C.*** *და* ***A.C.*** (12060/12) 16
რუმინეთი / ***Moldovan*** *და სხვები* ***(No 2)*** საქმეთა ჯგუფი (41138/98 და 64320/01) 11
რუმინეთი / ***Stoica*** (42722/02) 7
რუმინეთი / ***Tănase*** *და სხვები* (62954/00) 11
საბერძნეთი / ***Bekos*** *და* ***Koutropoulos*** (15250/02) 4
საბერძნეთი / ***Sakir*** (48475/09) 14
სერბეთი / ***Milanović*** (44614/07) 17
სლოვაკეთი / ***Koky and Others*** (13624/03) 10
სლოვაკეთი / ***Lakatošová*** *და* ***Lakatoš*** (655/16) 6
სლოვაკეთი / ***Mizigarova*** (74832/01) 6
უმინეთი / ***Boacă and Others*** (40355/11) 7
უნგრეთი / ***Balazs,*** საქმეთა ჯგუფი (15529/12) 5
უნგრეთი / ***Balogh*** (47940/99) 4
ხორვატია / ***Šečić* group** (40116/02) 8
ხორვატია / ***Škorjanec*** (25536/14) 9